Funded by the European Union

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

მდგრადი საჯარო შესყიდვები და ეკო-ეტიკეტირება საქართველოში

ძირითადი მიღწევები 2019-2023 წლებში

მდგრადი საჯარო შესყიდვები (SPP)

- საჯარო შესყიდვების შესახებ კანონში ინტეგრირდა მდგრადობის და სოციალური დებულებები
- შერჩეული პროდუქტებისთვის შემუშავდა SPP კანონქვემდებარე აქტები
- მომზადდა მდგრადობის კრიტერიუმები, სახელმძღვანელოები, სასწავლო და საკომუნიკაციო მასალები პრინტერების, პლოტერების, ტონერების/მელნის კარტრიჯებისა და საწმენდი საშუალებების სახელმწიფო შესყიდვისთვის
- მოხდა სახელმწიფო შესყიდვებში მდგრადობის კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევების მონიტორინგი და ანალიზი.

ეკო-ეტიკეტირება

- შეფასდა ეკო-ეტიკეტირების სისტემა და შემუშავდა რეკომენდაციები გაუმჯობესებისთვის, რასაც მოჰყვა ეროვნული ტრენინგი;
- ეკო-ეტიკეტირების შეფასებამ აღწერა საქართველოში არსებული ეკო-ეტიკეტირების სისტემები და საკანონმდებლო ჩარჩო.

«მდგრადი და მწვანე საჯარო შესყიდვების ოპერაციების სამომავლო გაფართოებას განვიხილავთ, როგორც ქართული საჯარო შესყიდვების განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად»
პროფ. კახა დემეტრაშვილი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე

«ეკო-ეტიკეტირების შესახებ ცნობიერების ამაღლება ხელს უწყობს მომხმარებელთა ქცევის ცვლილებას უფრო მდგრადი გადაწყვეტილებების მიღებისთვის»
თამარ ალადაშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი

ეროვნული დაინტერესებული მხარეების ცნობიერების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლება

- 350-ზე მეტმა ექსპერტმა გაიარა ტრენინგი SPP-სა და ეკო-ეტიკეტირების შესახებ
- ჩატარდა მაღალი დონის დიალოგი SPP-სა და ეკო-ეტიკეტირების შესახებ ხელისუფლების წარმომადგენლების ინფორმირებისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით
- ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მოეწყო ღონისძიებები შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- ჟურნალისტებისთვის დაიგეგმა ტრენინგები და ვიზიტები მცირე და საშუალო საწარმოებში;
- მომზადდა სოციალური მედიის კამპანია (10 პოსტერი, 5 ისტორია, ბროშურა და სახელმძღვანელოები) SPP-ის და ეკო-ეტიკეტირების შესახებ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ცნობიერების ამაღლების მიზნით.

პოტენციური სარგებელი

- განახლებული კანონმდებლობით შესაძლებელი იქნება სოციალური და მდგრადობის კრიტერიუმების გამოყენება საჯარო შესყიდვების ტენდერებში 2025 წლიდან
- მომზადებული სახელმძღვანელოები და ტექნიკური მასალები ქმნის საფუძველს ზოგიერთი პროდუქტის მდგრადი საჯარო შესყიდვებისათვის.
- SPP და ეკო-ეტიკეტირების კონცეფციები განიხილება ეროვნული პოლიტიკის განვითარების დღის წესრიგის კონტექსტში
- ბიზნესი და სხვა დაინტერესებული მხარეები აძლიერებენ ცოდნას SPP-ის, ეკო-ეტიკეტირების, ასევე მწვანე/ინოვაციური წარმოების შესახებ.

Action implemented by:
OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

ბროშურა მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით EU4Environment პროექტის ფარგლებში. აქგამოთქმული შეხედულებები არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის, მისი წევრების ანაღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობების ოფიციალურ მოსაზრებად.
© 2023, UNEP. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირში გარკვეული პირობებით.